<u>განმარტებითი ბარათი</u>

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბულგარეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის კულტურის სფეროში 2020-2022 წლებში თანამშრომლობის თაობაზე

პროგრამის პროექტთან დაკავშირებით

პროგრამის პროექტი ითვალისწინებს თანამშრომლობას საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის კულტურისა და ხელოვნების სფეროში. კერძოდ: კულტურისა და ხელოვნების სფეროში არსებულ საჯარო და კერძო ორგანიზაციებს შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარება და განვითარება; ორ ქვეყანაში გამართულ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, გამოფენებში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა; ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ ფარგლებში თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება; შემოქმედებითი ინდუსტრიების პარტნიორობა; კულტურის სტრატეგიების განვითარების მიმართულებით თანამშრომლობა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით თანამშრომლობა; ორი ქვეყნის საგამომცემლო სახლების თანამშრომლობა; კინოინდუსტრიის სფეროში თანამშრომლობა და სხვ.

წინამდებარე შეთანხმების ხელმომწერ მხარეებს წარმოადგენენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ბულგარეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო. პროგრამის პროექტი შედგება 21 მუხლისაგან და ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმების გაფორმება არ გამოიწვევს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.